ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37221172**
თარიღი:**27/04/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გერმანე ჭანუყვაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27 -ე მუხლის,34-ე მუხლის მე-3 პუნქტის , 43ე მუხლის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის (შიდა კონკურსის) 2022 წლის 20 აპრილის N3 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დაინიშნოს გერმანე ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის, II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 2022 წლის 28 აპრილიდან. მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1650 ლარით და შეუნარჩუნდეს საკლასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 1%- ის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი